„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ოქტომბერი. 2019 * (8)55

შოთაობა რუსთავში

29 სექტემბერს ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავში ტრადიციული ,,პოეზიის სახალხო დღესასწაული – შოთაობა“ გაიმართა. ღონისძიების დასაწყისში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მოწვეულ სტუმრებთან ერთად შოთა რუსთაველის ძეგლი გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს. დღესასწაული დამსწრე საზოგადოებას მიულოცეს ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა **მეუფე თეოდორემ** და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა **როსტომ მაგრაქველიძემ**. დღესასწაულზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ 2019 წლის ახალდაქორწინებული წყვილები ტრადიციულად ,,ვეფხისტყაოსანით'' დაასაჩუქრა.

ღონისძიებაზე მწერალთა კავშირის წევრებმა და სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულმა პოეტებმა საკუთარი შემოქმედებით კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი პოეზიის უდიდეს გენიას შოთა რუსთაველს.

ტრადიციულად სახალხო დღესასწაულზე მობრძანებულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ხალხური რეწვის ოსტატთა, მხატვრებისა და შშმ პირთა ნამუშევრების გამოფენას. ასევე, სახალხო დღესასწაულისთვის სპეციალურად მოწყობილ ფაცხებში ადგილობრივ სამზარეულოსა და მესხურ ტრადიციებს.

საზეიმო კონცერტში მონაწილეობას ღებულობდნენ რეგიონში მოქმედი შემოქმედებითი და ქორეოგრაფიული ჯგუფები.

დღესასწაულის დღეს სპორტულ ღონისძიებებს ორგანიზებას უწევდა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ახალგზრდულ საქმეთა და სპორტის საკითხებში უფროსი სპეციალისტი **პაატა ქავთარაძე** და ა(ა)ი.პ ასპინძის სასპორტო გაერთიანება **ლევან მაზმიშვილის** ხელმძღვანელობით.

ქართულ ჭიდაობაში გამარჯვებულები სხვადასხვა წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ:

აბსოლუტურში: I ადგილი დაიკავა **გიორგი თორთლაძემ**, II ადგილი **სოსო ირაჯაულმა;**

32 წონით კატეგორიაში: I ადგილი **ლუკა ბერიძემ**, II ადგილი – **გიორგი ზედგინიძემ**, III ადგილი **ნიკა გვარამაძემ;**

35 წონით კატეგორიაში: I ადგილი – **სანდრო ველიჯანაშვილმა**, II ადგილი – **მიშა მელიქიძემ**, III ადგილი – **ნიკა გვარამაძემ;**

დასასრული მე–3 გვ.

ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

3 ოქტომბერს, ასპინძის მუნიციპალიტეტში საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა, დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები განიხილეს;

1 ,,ასპინძის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციის და სამსახურეობრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 06 სექტემბრის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ გაფორმებულ 2019 წლის 26 ივნისის N93 ხელშეკრულებაში, საპროექტო დასკვნის მოსამზადებლად ხელშეკრულების ღირებულების გაზრდის შესახებ, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

3.ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 2019 წლის №94-დან N140-ის ჩათვლით გაფორმებული ხელშეკრულებების დამტკიცების შესახებ;

4. ასპინძის მუნიციპალიტეტის, სოფელ საროში მცხოვრები კახაბერ ასპანიძის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ქალაქთმშენებლობის დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ;

5. ასპინძის მუნიციპალიტეტის, სოფელ თმოგვში მცხოვრები ლელა მაისურაძის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ქალაქთმშენებლობის დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ;

6. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ გაფორმებულ 2019 წლის 17 ივლისის N107 ხელშეკრულებაში, დამატებითი სამუშაოების შესრულებისათვის ხელშეკრულების ღირებულების გაზრდის შესახებ, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

7. ,,ქალაქთმშენებლობის დოკუმენტაციის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 ივლისის №37 12 განკარგულების პრეამბულაში ცვლილების შეტანის შესახებ.

დეპუტატებმა წარმოდგენილი საკითხებიხ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს.

მაკა ბერიძე

მოსახლეობასთან ღია შეხვედრები ბრძელდება

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებული **ბესიკ ამირანაშვილი,** ასპინძის მუნიციპალიტეტის **მერი როსტომ მაგრაქველიძე** და საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა მელიქიძე,** ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში - საყუდაბელში, ორგორაში, ძველსა და ჭობარეთში მოსახლეობას შეხვდნენ და არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნენ.

ასპინძის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი და უკვე მიმდინარე პროექტები მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმა და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ამ დრომდე აქტიურად გრძელდება.

სოფელ საყუდაბელში რეაბილიტირებული იქნა სასმელი წყლის სისტემა და სანიაღვრე არხი. სოფელ ორგორაში რეაბილიტირებული იქნა სარწყავი წყლის სისტემა და სასმელი წყლის სათავე. სოფელ ძველში რეაბილიტირებული იქნა საჯარო სკოლის სველი წერტილები და აშენდა თავშეყრის ადგილი. სოფელ ჭობარეთში – სასმელი წყლის მაგისტრალი, თავშეყრის ადგილი და ამბულატორია.

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მჭიდრო კომუნიკაცია მოსახლეობასთან მიზნად ისახავს რეგიონში არსებული საჭიროებების იდენტიფიცირებას.

შეხვედრები მოსახლეობასთან

25 სექტემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები **შალვა ბერძენიშვილი** და შოთა როსტიაშვილი, რეგიონული განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე **ზაზა გაბუნია**, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი **როსტომ მაგრაქველიძე** და საკრებულოს თავმჯდომარე **მამუკა მელიქიძე**, ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლებში ივერიაში, ოთაში, დამალასა და ნიჯგორში არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნენ.

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მჭიდრო კომუნიკაცია მოსახლეობასთან მიზნად ისახავს რეგიონში არსებული საჭიროებების იდენტიფიცირებას.

ასპინძის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი და უკვე მიმდინარე პროექტები მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით დაიგეგმა და ამ დრომდე აქტიურად გრძელდება.

სოფელ ივერიაში მოეწყო სასმელი წყლის სათავე ნაგებობის, ივერიის ხევის (ნაპირსამაგრი) კალაპოტისა და საჯარო სკოლის სველი წერტილების (საპირფარეშო), ხოლო სოფელ ოთაში – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილისა და მდ. ოთის წყლის (ნაპირსამაგრი) კალაპოტის რეაბილიტაცია და ამბულატორიის მშენებლობა.

ასევე სოფელ დამალაში რეაბილიტირებული იქნა შიდა გზა, კულტურის სახლი, საჯარო სკოლის სველი წერტილები (საპირფარეშო), სოფელ ნიჯგორში – სასმელი წყლის სათავე ნაგებობა და შიდა ქსელი, დაიწყო ამბულატორიის მშენებლობა.

დამთავრდა სამშენებლო სამუშაოები

დასრულდა დაბა ასპინძაში ყაზბეგის, ერეკლე II-ის, დედაენის ქუჩებიდან სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, რომლის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ასრულებდა ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,საგზაო სამშენებლო სამმართველო N2'', რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენდა 278 300 ლარს.

შეხვედრა ბიბლიოთეკაში

ამა წლის 18 სექტემბერს ასპინძის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ მთავარ ბიბლიოთეკაში ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის სამცხე-ჯავახეთის ბიუროს წარმომადგენელმა **თეონა ზურაბაშვილმა** ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე მან ისაუბრა საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის შესახებ.

სტუმრად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში

9 სექტემბერს, ასპინძის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში სწავლის პროცესი განახლდა. ახალი სააღმზრდელო წლის დაწყება საბავშვო ბაღების აღსაზრდელებსა და პედაგოგებს პირადად მიულოცეს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **ლევან ბერიძემ**, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომრის მოადგილემ **ბესიკ ბერიძემ**, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორმა **ელისო ბექაურმა** და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებმა. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ინიციატივით, საბავშვო ბაღებს ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოები გადაეცათ.

ახალი სასწავლო წელი მიულოცეს

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა **როსტომ მაგრაქველიძემ**, საკრებულოს თავჯდომარემ **მამუკა მელიქიძემ** და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ახალი სასწავლო წლის დაწყება ასპინძის მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის მოსწავლეს, განსაკუთრებით პირველკლასელებს მიულოცეს და მერიის სახელით სიმბოლური საჩუქარი ,,საბავშვო ვეფხისტყაოსანი'' გადასცეს განათლების სამინისტროს ინიციატივით წელს ყველა პირველკლასელმა ახალი, გაუმჯობესებული ნეთბუქები და სახელმძღვანელოები მიიღეს. უფასო სახელმძღვანელოებს მიიღებს საჯარო სკოლის ყველა მოსწავლე პირველიდან მეთორმეტე კლასის ჩათვლით.

მიზანი – საბიუჯეტო პროცესის დახვეწა

13 სექტემბერს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიაში „გენდერული ბიუჯეტირების“ თემაზე ტრენინგი ჩაატარეს.

ფინანსისტთა ასოციაციისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ნინო ლოლაძემ და ლაშა გოცირიძემ გენდერული ბიუჯეტის არსზე, მის მიზანზე, ამოცანებზე, საერთაშორისო პრაქტიკაზე და საქართველოში გენდერულ ბიუჯეტირებაზე ისაუბრეს.

აღნიშნულ ტრენინგს მერიის სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლები ესწრებოდნენ.

ტრენინგის მიზანი, მთავრობის მიერ ევროკავშირთან ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, საბიუჯეტო პროცესის დახვეწა იყო.

რეპლიკა

გავუფრთხილდეთ ერთმანეთის სიცოცხლეს!

ბევრ ასპინძელს ხშირად უწევს გავლა თუ ტრანსპორტით, თუ ფეხით, ე.წ. დაბის ცენტრალური მაგისტრალის იმ მომაკვეთზე, რასაც „კლდიაშვილების“ მოსახვევს ვეძახით. ახლახან, გავლისას, ეს მერამდენედ შევამჩნიე, მშენებლები ამ მონაკვეთზე საყრდენი კედლის აღდგენით სამუშაოს რომ ეწეოდნენ. ეს იმის მიერ „დანატოვარი“, დანგრეული კედელია, სადაც ამ ცოტა ხნის წინ კიდევ ერთი „ტრაილერი“ ამოყირავდა და კიდევ ერთხელ გაგვაფრთხილა, რომ დაუდევრობას ეს შედეგი მოსდევს თან. ახალგაზრდობის რა მოგახსენოთ, მაგრამ ძველი თაობის ადამიანებს კარგად გვახსოვს მოლა ნასრედინის ერთი ფრიად დასამახსოვრებელი ამბავი – შვილი კოკით წყალზე რომ გააგზავნა და წინასწარ ცემა რომ დაუწყო. როცა უსაყვედურეს, რატომ სცემო, – კოკა რომ გაუტყდება, მერე გვიანი იქნება საყვედურებიო.

ეს შეგონება იმისთვის კი არაა მოგონილი, მოლას სიტყვამოსწრებულმა პასუხმა რომ აღგვაფრთოვანოს რაიმეზე, არამედ გვაფრთხილებს – ყველგან ყურადღებით ვიყოთ, თორემ მომხდარის მერე გაფუჭებულ საქმეს არაფერი აღარ ეშველება!

ჩვენც არაერთხელ ვწერდით და ვწერთ, რომ ეს ადგილი, რაზეც ზემოთ მივუთითეთ, ავტოსაგზაო შემთხვევების საშიშროებას ქმნის და წინასწარ გაფრთხილებები სიკეთის მეტს არაფერს არ მოგვიტანს. მაგრამ, როგორც იტყვიან, –



შეაყარე კედელს ცერცვი, დღემდე არავითარი რეაგირება არ მომხდარა და, შედეგებსაც სავალალოს ვიმკით.

ბოლო დროს დიდ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, თუ როგორ ინტენსიური გახდა ცენტრალურ ტრასაზე, განსაკუთრებით მაღალი ტვირთამწეობის ავტოტრანსპორტის მოძრაობა, როგორ ფერხდება მათ გამო ნორმალური მოძრაობა, იგი განსაკუთრებით უცხოური „ტრაილერების“ გამოისობითაა გამოწვეული, საილუსტრაციოდ კიდევ ერთ ფაქტს მოვიყვან: ამ ცოტა ხნის წინ ერთმანეთის მიჯრით, ავტოსადგუთან „ტრაილერების“ მთელი კოლონა ერთმანეთის მიჯრით ისე იყო ჩამომწკრივებული, გვერდის აქცევაც კი შეუძლებელი იყო. რაოდენ სახიფათოა ისიც, რომ სწორედ ამ მონაკვეთზე – ხშირია გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობები და იქმნება ავტოსაგზაო შემთხვევების საშიშროება.

ვფიქრობთ, საპატრულო სამსახური იქნება, თუ ნებისმიერი მაკონტროლებელი ორგანო, ვისაც ეს ხელეწიფება, უნდა გაატაროს გადაუდებელი ღონისძებები, რათა თავიდან ავიცილოთ ფატალური შედეგები, პირველ რიგში კი, რასაც ხშირად ვიმეორებთ, მეტი კონტროლია საჭირო და მკაცრი ღონისძიებების გატარება იმ მძღოლების მიმართ, ვინც არღვევს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ავთანდილ ბერიძე

ჯავახეთი

(ეთნოგრაფიული წერილი)

(გაგრძელება.
დასაწყ. წინა ნომერში)

ოდა და ახორის კარი გამოდის ოთახში. დერეფანშივე გამოდის სხვა თვლების კარები მარანისა და სათონესი. პირველში ინახავენ ხორაგეულობასა, ხოლო მეორეში ქბილსა, რასაც იქვე ზელენ და აცხობენ პურსა.

დერეფნის კარი ხშირათ კარაპანში (წამოხურულია) გადის, რომელიც კალოზედაა წამომდგარი.

დერეფანში წყლით კოკებს ნახავთ დადგმულს სასმელითა. კარაპანში სახმარ ავჯათებს (გასაყარში შენახულსა).

კალო საბძლების ბანზედაა (ახლოს) გაშენებული, საიდგანაც გალეწილ ბზეს (თავის დროზედ) არნადებათ მოსწევენ, იქვე ახლოს და ერდოებიდან ჰყრიან საბძლებში შესანახათ. საბძლებშივე თივას ინახავენ ზამთრისთვის.

იქვე, ან შორი-ახლოს, საცხვარეებსაც ნახავთ, სადაც ზამთარში თხა-ცხვარს ჰრეკენ შიგ სადგომათა. საცხვარის გარეთ, სანახველებია, სადაც მთელი ზამთრის განმავლობაში საქონლის განავალს აგროვებენ და აქედან გაზაფხულზედ ყანებში გააქვთ მხოლოდ განაპირელებსა, რომელნიც შეშას შოულობენ საწვავათ და სადაც ვერ უდგებიან იმას, იქ წივათ ამზადებენ ამ ნეხვს დასაწვავათა.

ჯავახელები სტუმარს მაშინათვე ფიჩვს ან ქეჩას გაუგებენ ბუხართან; დაუდებენ ბალიშს და ზედ დააჯვდენენ. სტუმარს მამაკაცი, მეტადრე წვერთეთრი, უმასპინძლდება, როგორც ჭამაში, ისე ლაპარაკში.

ქალები არ ეჩვენებიან სტუმართა თუ არ სამსახურში, ე.ი. სადილ-ვახშმის დროს, როდესაც უწყობენ სუფრას სტუმარსა და ან ხელ-პირს აბანინებს. ყოველ უწინარეს კი ქალმა (ახალგაზრდებმა) სტუმარს ხელზე უნდა მოუკითხონ. ასევე მოიკითხებენ, როდესაც სასმელს მიიღებს სტუმარი. მომკითხველი ლეჩაქოსანი, მარცხენა ხელს გულზედ მიიდებს და მარჯვენას მოწიწებით გაუწვდის სტუმარს ხელისაკენ მოსაკითხითა. მომკითხველს სტუმარი მადლობას უხდის. ქალის მოკითხვა სტუმრის წინაშე ნიშნავს გამკითხავს, თუ როგორ კარგათ აქვს, და ან თუ სმის შემდეგა „გაამოსო“. ქალებისთვის მოკითხვა ლაპარაკის მაგიერია, რადგანაც ლაპარაკი დაშლილი აქვთ მამაკაცების წინაშე.

ოჯახში რძლები დედამთილ-მამამთილის შეკითხვაზე პასუხს თარჯიმანის შემწეობით აძლევენ. თარჯიმანობენ 7-8 წლის ბავშვები. მაზლებთანაც ასეთი თარჯიმანული ლაპარაკი უხდებათ საბრალო დამუნჯებულ ჯავახ რძლებს.

ჯავახები პურს აცხობენ თონეში. თხლად გამომამცხვარს ლაფათა პურს ეძახიან, რგვალს – „კაკალა პურს“, გრძელს „ლოლოს“. ლავაში კიდევ სხვაა. კეცში გამონამცხვარს „ფუნთუშას“ ეძახიან.

ჯავახელები ნამცხვრებსაც აცხობენ. ხსნილში ერბოთი და მარხვაში ზეთით. აი ჯავახური ნამცხვარი: ყათმარი, ქადა, ნაზუქი, ლუხმა, ბაში, ლალაკენეს საჭმელები. ჯავახეთში ამზადებენ ნაირ საჭმლებს: მახოხი, ფუშრუკი, ლობიო შეჭამადი, კორკოტი შეჭამადი, სქელი კორკოტი, ფლავი, კარტოფილის იანი, მოშუშული ლობიო და კარტოფილი, ხავიწი, ფაფა, ყაურუშომა, ქაში, მოხრაკული ქათამი და ბატი, თევზი საციოთი, მწვადი, ჭიმბური. რძიდან ნამზადი: მაწონი, ნაღები, ფალის პარი, დო, ან მელატი, ხაჭო და გულამბა.

ავეჯი მოწყობილობა ჯავახეთის სახლისა: ჭურჭლებიდან: ქვაბი, ტაშტი, თუნგი, ტაფა, საინი, ლანგარი, კარდალი, სინი (სპილენძისაა), ქოთანი, ჯამი, კეცი, თონე, ჭური, დერგი, დოქი (თიხისაა); ქარსანგი, ტაბაკი, გობი, კასრი, კოდი, ½ კოდი, 1/3 კოდი – კოში, კუტალი, კოკა (ხისაა); საცერი, სამტკიცავი, ცხრილი, ცხავი (პურის საკეთებელია); ასტამი, ხელეჩო, სატეხი, ცული, ხრხი (იარაღი); ორთითი, ფიწალი, არნადი, ბჯისკეტი, უღელი, ტაბიკი, აპეური, უღელი, ატო, ცელი, ქასრი, გოდორი, კალათი, ლასტი, ხერძალი, ჯვალი, ხერჯი, ჩათო, საბელი, ურემი. საფენიდან: ფიჩვი, ქეჩა, ჭილობი, ხალიჩა, სასწორი (ხისაა) ნუკი 1/8.

ჯავახნი შუა ტანის და შავგვრემანი ხალხია. მათ დაღვრემილ სახეზედ ბევრს სიდაჩაგრულეს და ბედშაობას ამოიკითხავთ. სწორეთ ნამდვილი პირა, ჯავახეთის მოყენებული ჰქონდათ ლეკთა, სპარსთა და ოსმალთა დევნულობისა და აწიოკება განადგურებისაგან და ეს წინაპართა სიჩაგრე დაბეჩავება, თითქოს ინსტიკტიურად გადმოედვათ აწინდელ მათ ჩამომავალსო.

დიაღ, ჯავახი დაბეჩავებული და სიმხდალით დაძაბუნებული ხალხია. მტერს იგი სამაგიეროს სრულიად ვერ უხდის, სიავის მეოხებისათვის და ბატონს და მისი მოურავის ბრძანებას წარბს ვერ შეუხრის. პირიქით, მათგან მიყენებული შეურაცხყოფა და სახრე მათრახით გამოტყეპა კრძალვით უნდა მოითმინოს და სამაგიეროთ კრინტიც ვერ უნდა დაძრას, რომ გაიგოს, თუ რისთვის უცხელებენ და უჭრელებენ გვერდებსა!

ასეთივე ყურმოჭრილი მონაა დაბეჩავებული ჯავახი მამასახლისის და საზოგადოთ კაკარდოსანთ უსინდისო განაჩენის ქვეშ დამონავებისა ჯავახი თავისი უსაზღვრო მონობის უღლის ქედის ქვეშ, თავმოყვარეობას იმდენათ აშორებულია, რომ ის ედარება ამ მხრივ, ცხოველსა. რომ თვით თავის სახლებშიც კი საწყლათ ცხოვრობს... ჰქონდეს, არ ჰქონდეს მისთვის სულ ერთია; არც სიმდიდრით იუმჯობესებს იგი თავის ცხოვრებასა, რომ ღარიბი მეზობლისაგან რითიმე გაირჩეოდეს. ის მაინც ქერის პურს არ ექრება, როგორც შეუძლო მისი მეზობელი, მაინც ისეთსავე დაგლეჯილის ტანისამოსით დაიარება, მაინც ისეთსავე ჭირსა და ლხინს გაჩვენებს თავის ცხოვრებაში, სახლის მოწყობილობაც ისეთივე აქვს და სხ. მდიდარი გაირჩევა ღარიბებისაგან ჯავახეთში მხოლოდ იმითი, რომ მდიდარს მეტი მინა აქვს, ღარიბზე უფრო, თხა-ცხვარი მრავალი ჰყავს, ძროხა, ხარი ბევრი და სხ. შეძლებულ ჯავახს უცხო ადგილ ხარზით მოკლება, ის ქედს არ მოუხრის უთავმოყვარეობას და ისევ მათხოვრობას დაიწყებს, როგორც ღარიბი. სირცხვილი მას სრულიად არ აწუხებს... მათხოვრობაში არ აწუხებს, იმიტომ რომ მას თავმოყვარეობა არ აქვს.

თვისება ჯავახეთის:

ჯავახები ღვთის მავედრებელი ხალხია და წირვა ლოცვის მოყვარული. მეტადრე კათოლიკენი, სძულთ ბოროტი და ავ-კაცობა; ამისათვის ქურდობა არაა აქეთ ისე გახორციელებული, როგორც დასავლეთ საქართველოში და სხვაგან მთაში. კაცის კვლაც ნაკლებია და თუ ასეთი შემთხვები ხდება ზოგჯერ დახშირებითაც კი, ეს მხოლოდ უფრო თარაქამებში და სომხებში.

ერთიმეორეს ნდობა გაძლიერებულია ჯავახეთში, მეტადრე გასესხებაში, ბევრჯელ გამსესხებელი ვექილსაც არ იღებს მოვალისაგან, სიტყვით ენდობა და თვეში თუმანში ორ შაურზე მეტსაც არ გადაახდევინებს. ჯავახეთში ვექილს მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს, რომ არ დაავიწყდეთ ფულის გაცემის რიცხვის და ვადა.

ჯავახები ძალიან უსუფთაოთ ცხოვრობენ; მათ უსუფთაოთ ცხოვრებას ხელს დიდათ უწყობს საქონელთან ერთად ცხოვრება. ჭამასმაშიაც ემჩნევათ უსუფთაობა.

საცვალს, ხშირათ, ისე დაგლეჯს ჯავახი, რომ ერთხელ თუ ეღირსა გარეცხვა დიდი საქმეა. გარეცხის დროსაც საცვალი მეორე არ აქვს, რომ გაჭუჭყიანებულის ნაცვლათ ჩაიცვას, ის ერთი ხელი საცვალი აქვს. გარეცხის ხანს შარვალს და რუბენს უსაცვლოდ იცვამს დედიშობილა ტანზე თვით მდიდრებშიაც ასეთივე ადათია. იქ იშვიათია, რომ ორი ხელი საცვალი ჰქონდეს ჯავახს. ის ან სხვა ქალაქში გაზრდილი უნდა იყოს, ან და ცოტაოდენ ნასწავლი, სოფლის მასწავლებელი, მწერალი და სხ.

თუმცა ჰავა ხმელი და მარგია ჯავახეთში, რის გამოც ციებ-ცხელებას, მუცელ-კეთილს და მასთან მავნე ჭირს ნებას აცილებული არიან ჯავახები, რაიცა ჭაობიან ადგილებში მკვიდრთ უსპობს სიცოცხლესა, მაგრამ ხსენებული უსუფთაობა ჯავახებისა საოფლე (ტიფი) რა და კეთროვნებასა ამეფებს, თანაც ბევრი ესალმებიან სიცოცხლეს. წარმოიდგინეთ, უსუფთაობა საქონელსაც უჩენს ჭირსა ტაბახსა და სხ. რის გამოც იხოცებიან, ჭლექში კი ვერ მეფობს ჯავახეთში.

ჯავახებ შორის ნასწავლი პირები ძალიან მცირეა და ისიც დაბალი სწავლით, საშვალო და უმაღლესი სწავლით ხომ სანთლით საძებარია. მე ამ სწავლით კი არავინ მეგულება ჯავახეთში. ჯავახ ნასწავლთა შორის შესანიშნავი იყო დრამატურგი, განსვენებული იაკობ იოსების ძე ლაზარაშვილი, რომელმაც 5 პიესა დასწერა და მათ შორის კი „მტარვალი“, რომელიც რამდენიმე ჯერ წარმოდგენილი იქნა თბილისში ავტორისავე სიცოცხლეში. განსვენებული ვარგავიდან იყო, კათოლიკე. იმის ვრცელ ბიოგრაფიას მალე დავბეჭდავთ. ათი წელიწადი იქნება სწორეთ ამ წლის ქრისტეშობისთვეში, რაც გარდაიცვალა.

ჯავახი იცვამს სპარსულებ, სქელსა და ნაოჭიან ჩოხას იცვამს უმოკლესს ყუიმაჭებიან ახალოხზედ. წელებზედ შალისავე სქელს; სარტყელს ირტყამენ, ახალგაზრდანი დაფულულს ტყავის აბზინდიანს ყაიშს. შარვალი მოკლე და განიერი აცვიათ, რომლის შინა კუნჭულს წინდა-პაიჭში ჩატანებული აქვთ. ფეხზედ ქალამანი აცვიათ, თავზედ კი მთელი ცხვრის ტყავიანი ბობოლა უხელოვნო ქუდი აძევთ. სიცივეში (შოთა რუსთაველისებური) მოსახურავი ასხიათ გარეთგან. მოხუცთ კი ცხვრის ტყავებიდან შეკერილი ულაზათო ქურქი.

ამ უკანასკნელ დროს ახალგაზრდებმა რომელნიც იმერეთ-ქართლსა დადიან სავაჭროთ, ან სამუშაოთ, იმათ ცოტათი შეიცვალეს ტანისამოსი. ზოგმა იმერული ყაბალახი დაიდვა თავზედ უშნო ქუდის მაგიერ და ზოგმა კი ეს შხოიანს იმერულს ქუდზედ შეცვალა. ჩოხა-ახალუხიც იმერულათ შეიცვალეს და ქალამანი ჩუსტებზედ.

რედაქტორ-გამომცემელი
მ.პ. დ. მუღაშაშვილი-პაწაძე

გაგრძელება იქნება

შოთლობა რუსთავში

დასაწყისი გვ 1.

40 წონით კატეგორიაში: I ადგილი **ბექა ბერიძემ**, II ადგილი – **ვანო გიორგაძემ**, III ადგილი **ოთო გიორგაძემ**;

60 წონით კატეგორიაში: I ადგილი **ლევან დავლაშერიძემ**, II ადგილი – **ლაშა ხმალაძემ**, III ადგილი **ნოდარ გალუსტაშვილმა**;

წლევანდელი შეჯიბრი მკლავჭიდში, ტრაგიკულად დაღუპული შალვა გურგენიძის სახელს მიუძღვნეს. გურგენიძე გასული წლის გამარჯვებული იყო ამ სპორტის სახეობაში.

მკლავჭიდში I ადგილი **გაგა გელაშვილმა** დაიკავა და მას გადაეცა შალვა გურგენიძის სახელობის თასი, II ადგილზე **აზატ ფარმანიანი** გავიდა, III ადგილიზე კი **მიხეილ მელიქიძე**. გამარჯვებულებს, მედლები და სიგელები გადაეცათ.

16 წლის **გიორგი ლალიაშვილი** ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოთიდანაა, მან ქვის აზიდვაში პირველად მიიღო მონაწილეობა და გაიმარჯვა კიდეც. საჩუქრად გამარჯვებულს მედალი და ცხვარი გადასცეს

სახალხო დღესასწაულის ორგანიზება უზრუნველყო ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ.

ასპინძის ომის 250 წლისთავისათვის

ასპინძის ბრძოლა

მომავალი წლის 20 აპრილს 250 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც დიდმა ქართველმა მეფე-სარდალმა, ერეკლე მეორემ, სოფელ ასპინძაში სძლია თურქთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი. ამ ღონისშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით მკითხველებს სისტემატურად შევთავაზებთ სხვადასხვა მასალას ამ დღესთან დაკავშირებით. ამჯამად გთავაზობთ რობერტ ბერიძის სტატიას:

19 აპრილს გაურკვეველი მიზეზებით გენერალმა ტოტლებენმა ზურგი შეაქცია მოკავშირეს და ქართლისაკენ წამოვიდა. ტოტლებენის უკან დახევამ სახიფათო მდგომარეობა შეუქმნა არა მარტო საკუთრივ ქართველთა მხედრობას, არამედ თვით რუსეთის ჯარსაც. ერეკლე მეფემ გადაწყვიტა ბრძოლით ახალციხის, ასპინძისა და წალკის მიმართულებით თბილისისაკენ წასულიყო. ხალხური გადმოცემით, ერეკლე მეფისთვის მეგზურობა ადგილობრივ მკვიდრს ნიკოლოზ ბერიძეს გაუწევია. მერე იგი თურქებს სიკვდილით დაუსჯიათ. ქართველი ჯარის ამ მანევრმა მტერი დააბნია. იგი ბორჯომის ვიწრო ხეობაში მანევრირების საშუალებას მოკლებულ რუსეთის ჯარს კი არ დაედევნა, არამედ მსუბუქად შეიარაღებულ და სწრაფ მოძრავ ქართველთა მხედრობას მოჰყვა, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირის გაყოლებით მიდიოდა, ახალციხის ფაშამ ხერთვისისა და ახალქალაქის ციხეებიდან 1500 კაცი გამოიყვანა ქართველებისათვის გზის მოსაჭრელად. მაგრამ ქართველებმა სწრაფი შეტევით მტერი მიფანტ-მოფანტეს. მოწინააღმდეგის დევნა ჯერ დამთავრებულიც არ იყო, რომ თურქთა მთავარი ძალები ასპინძასთან მტკვარზე ხიდს მოადგა.

ერეკლე მეფემ მტრისთვის თვალის ასახვევად უკან დაიხია. ქართველი მემატიანის ცნობით, 19 აპრილს „გადმოვიდნენ უკვე ნახევარნი ხიდსა ასპინძისასა და ნახევარნიცა ლამობდნენ მეორე დღესა გადმოსულად, ხოლო ღამესა მას ნარგზავნა მეფემან ერისთავის შვილი აღაბაბა, სვიმონ მუხრან ბატონის შვილი წასაღჩიბაში და ხუდია ბორჩალოელი ჩინებული და მამაცი ყოველსა საქართველოსა შინა და ამცნო მათ, რათა აჰყარონ ხიდი ასპინძისა და მათ სრულჰყვეს ყოველივე ბრძანებული მეფისა“.

20 აპრილს, განთიადისას, ქართველთა ჯარი მტრის წინააღმდეგ გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა. ერეკლე მეფემ ბრძოლის წინ ქართველთა ჯარი სამ ნაწილად გაჰყო. მარჯვენა ფრთის ხელმძღვანელობა დავით ორბელიანს მიანდო, მარცხენასი – გიორგი ბატონიშვილს, ხოლო მთავარ ცენტრალურ ძალას და ბრძოლის საერთო ხელმძღვანელობას თვითონ ჩაუდგა სათავეში.

ქართველთა სწრაფმა და ორგანიზებულმა შეტევამ მტრის მოწინავე რიგები გატეხა და საერთო დაჯგუფებაში არევ-დარევა გამოიწვია. მტკვრის მარცხენა მხარეზე დარჩენილი თურქთა ჯარის ნაწილი გულხელდაკრეფილი უცქეროდა, ქართველთა ჯარი როგორ მუსრავდა მათ თანამებრძოლებს.

დამარცხებულმა და სიკვდილის შიშით გაოგნებულმა ლეკოსმალთა ჯარმა, თავის გადარჩენის მიზნით, ხიდს მიაშურა და რაკი ესეც აყრილი დახვდა, პანიკური შიშით ადიდებულ მტკვარს მისცა თავი.

ტყვედ ჩავარდნილთა ცნობების საფუძველზე, ასპინძის ომში ლეკოსმალთა რვაათასიანი კორპუსი მონაწილეობდა. აქედან ქართველთა ხელით 4000 კაცი ბრძოლის ველზე დაიღუპა, ხოლო ახალციხეს 13 კაცი დაბრუნდა. ერეკლე მეფის ერთ-ერთ წერილში აღნიშნულია, რომ ამ ბრძოლაში დაიღუპნენ ლეკოსმალთა გამორჩეული სარდლები – მალაჩილა (კოხტა ბელადი) – ერეკლე მეფის მიერ განგმირული – „რომელიც იყო დაღისტნის პირველი და ჩინებული ბელადი“, მეფე ყუმუხის მთავრის შვილი ჰაჯი გაჰრაი და სხვები. ამ ომში მონაწილეობდა 3000 ქართველი, რომელთაგანაც მოკლული და დაჭრილი ყოფილა 30-მდე კაცი.

ასპინძის ბრძოლა ქართველი ერის სამხედრო ხელოვნების ისტორიაში მნიშვნელოვანი გმირული ეპიზოდია და მას უდაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. პირველ რიგში აღსანიშნავია ის, რომ ქართველებში განმტკიცდა აზრი, მორალური რწმენა, რომ არსებითად შესაძლებელი იყო მტრის მრავალრიცხოვანი ჯარების ძლევა. ამან გაამხნევა სამცხე-ჯავახეთის, მთელი სამხრეთ საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობა და მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა გამაჰმადიანებულ ქართველებზეც. მაგალითად, 1773 წელს ხერთვისის ბეგი იბრაჰიმი (აბაშიძე) გადავიდა ერეკლეს მხარეზე და დახმარება გაუწია ხერთვისისა და მისი გამაგრებული ციხის აღებაში. ასპინძის ბრძოლის გამარჯვების შემდეგ იმერეთის მეფემ სოლომონმა შესძლო დასავლეთ საქართველოდან გაეძევებინა თურქი დამპყრობლები. ამავე ბრძოლის გამოხმაურებად უნდა ჩაითვალოს შემდეგში აჭარაში დიდი აჯანყების დაწყება, ახალციხის ფაშის წინააღმდეგ, რამაც თურქეთის მთავრობა აიძულა მაჰმადიან ნამინ-ფაშას ნაცვლად კვლავ გამაჰმადიანებული ქართველი ჰასან ფაშა (ჯაყელი) დაეყენებინა.

დაბოლოს. ასპინძის ბრძოლამ ქართველთა ლაშქრობას, განსაკუთრებით მის სარდალს ერეკლე მეორეს, საქვეყნოდ გაუთქვა სახელი. იგი ევროპის პროგრესული ადამიანებისათვის ერთ-ერთ პოპულარულ პიროვნებად იქცა, რომლის შესახებაც არაერთი საგაზეთო და საყურადღებო სტატია დაიწერა.

რობერტ ბერიძე

„ოქრო, ეს ლაბიერგები“!

მანანა ხიხალაშვილი

ხიზაბავრა

საქართველოს ყველა კუთხე ერთმანეთზე რჩეული,
თუმცა... მესხეთ-ჯავახეთი ჩემთვის გამორჩეული.
აქ ხომ ჩემი სოფელია, სად ბავშვობა ვატარე,
და ბავშვობის მოგონება წლებსაც ვერ გავატანე.
მტერმა ბევრჯერ შეარყია, თითქოს ფერი უცვალა,
ყველგან თურქი ბატონობდა, რწმენა ვერ შეუცვალა.
აქ ერეკლეს გაუშალეს დიდზე დიდი ნადიმი,
დღესაც სტუმართმოყვარეა ხიზაბავრა ნამდვილი.
ჩემი სოფლის ეკლესია, იქვე წყარო ანკარა,
მაღლა ღართა უძველესი, ობოლეთი პატარა.
კიდევ ბევრი სალოცავი, ველ-მინდვრები გაშლილი,
პურის ყანა მოლივლივე, ირგვლივ ფაფარაშლილი.
ხიზაბავრის პურმარილი არის მუდამ მეფური,
ნაკვერჩხალზე მწვად შეწვავენ, იქვე დაკლულ ჭედილის.
იუმორიც თან დაყვებათ ახლად გამოჭედილი,
სიყვარულის სავსე გრძნობით, ერთურთს ესალმებიან,
მათთან სტუმრად თავს ვერ იგრძნობ, გულში გეხუტებიან.

დედას

ეს გაზაფხული, მონატრება იის სურნელის,
შემოსწოლია გულს, რომელიც სევდას ინახავს.
შენი ალერსი, მოფერება მუდამ მზრუნველი,
დედავ ძვირფასო, არასოდეს არსად მინახავს.
დედა – ეს არის ვისაც სტკივა შვილის ტკივილი,
ო... რამდენ ტკივილს იტევს მისი სათუთი სული,
ღამე უძილოს არ ასვენებს მამლის ყივილი,
შვილებზე ფიქრში დაფუსფუსებს თან ოჯახს უვლის,
მე მის სახეზე, არასოდეს მინახავს დაღლა,
რომელიც მუდამ თან მიიწევს მაღლა და მაღლა.
და ნაოჭებმაც წლებთან ერთად სახეც დაღარა.
ქალი რომ კაცზე სუსტი არის, ხომ ყველამ ვიცით,
თუმცა დედაა, ჩემო კარგო, მასზე ძლიერი.
იგი თავის წილ ბოლო ლუკმას შვილს გაუწოდებს,
და არც კი ფიქრობს, რომ დარჩება თავად მშიერი.
დედა! – ეს არის უამრავი დარდის ამტანი,
დედა! – ეს არის შვილებისთვის გრძნობის ლამპარი.
დედა! – ეს არის სიცოცხლე და სითბო, ალერსი,
ამიტომ მინდა მოვეფერო დედას ამ ლექსით.

ავტორ - მთქმელი **მანანა ხიხალაშვილი**,
დაბა ასპინძა

სპორტი

შეჯიბრება მინი-ფეხბურთში

25 სექტემბერს, „ევროპის კვირეულის ფარგლებში“, კულტურისა და დასვენების პარკში, ხელოვნურსაფარიან მინი-სტადიონზე, გაიმართა შეჯიბრება მინი-ფეხბურთში.

ტურნირში მონაწილეობდნენ ასპინძის სასპორტო გაერთიანებასთან არსებული ფეხბურთის სექციის 2004-2006 და 2006-2008 წლებში დაბადებული ფეხბურთელთა გუნდები .

თამაშები საკმაოდ დაძაბულ და საინტერესო ვითარებაში წარიმართა.

გამარჯვებული გუნდები ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ პრიზებით და სიგელებით დააჯილდოვა.

ტურნირს ორგანიზება ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის ახალგაზრდულმა და ტურიზმის განვითარების სამსახურმა გაუწია.

ახალი წიგნები

ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის საბავშვო განყოფილებამ მიიღო ახალი წიგნები:

ალიგიერი დ. – „ღვთაებრივი კომედია“., თბ. „პალიტრა L“, 2019 წ. 528 გვ.;
ბაქრაძე ნ. – „ტყის ზღაპარი“. თბ. „ემ-პიჯი“, 2017. 40გვ.;
ბაქრაძე ნ. –„სამყარო ზღაპრებში“, თბ. „წიგნი-ერი“. 2017, 62 გვ,;
ბეზარიშვილი ნ. – „კლდებიჭა“, თბ. „საუნჯე“, 2013, 55 გვ.;
დალი რ. – „მატილდა“, თბ. „ბაკურ სულაკაურის გამომც.“, 2019 წ. 242 გვ.
დიკენსი ჩ. „ოლივერ ტვისტი“. თბ. გამომც. „პალიტრა“, 2017, 575 გვ.;
თაყაიშვილი ე. – თხზულებანი, ტ. 6, თბ. „არტანუჯი“, 2018 წ. 900 გვ;
კეკელიძე მ. – „ბრწყინვალე ვარსკვლავის მაძიებელი– თბ. „წიგნი-ერი“, 2018 წ. 294 გვ.;
კრისტი ა. – „სიკვდილი ნილოსზე“, თბ., „პალიტრა“, 2019 წ. 283 გვ.;
ლინდგრენი ა. – „ლოტა აურზაურის ქუჩიდან“, თბ. „ბაკურ სულაკაურის გამომც.“, 2014, 134 გვ.;
მანი თ. – „ლოტა ვაიმარში“, თბ., „პალიტრა L“, 2018 წ. 518 გვ.;
მიჩელი მ. – „ქარწაღებულნი“, ტ.1. თბ. „პალიტრა L“, 528 გვ.;
ნერგაძე ს. – „ემიგრანტის ჩანაწერები“, „შინისკენ“, 2018 წ. თბ. „ინტელექტი“, 2018 წ. 200 გვ.;
სკოტი უ. – „აივენჰო“, თბ. „პალიტრა L“,,2015 წ. 510 გვ.;
ტოლსტოი ლ. – „ანა კარენინა“, თბ., „პალიტრა L“, 2017 წ. 782 გვ.;
უცხოური ზღაპრები – თბ. „წიგნი-ერი“, 2016 წ. 125 გვ.;
ქართული ზღაპრები – თბ., „წიგნი-ერი“, 2016 წ.164 გვ.;
შაფაქი ე. – „ევას სამი ქალიშვილი“, თბ., „პალიტრა“, 2013 წ. 408 გვ.;
ჭანტურია ლ. – „ჯადოსნური სამყარო“, თბ. „ემ-პი-ჯი“, 2014 წ. 39 გვ.;
ჭანტურია ლ. – „სხვა მზის ქვეყანაში“ – ზღაპარი. თბ. „წიგნი+ერი“, 2019 წ. – 60 გვ.'
ჭილაშვილი ქ. – ვატო და ჩიტი“, თბ. „საუნჯე“, 2013 წ. – 55 გვ.;
ჭანტურია ლ. – „რჩეული ლექსები“, თბ., „წიგნი-ერი“, 2019 წ. – 122 გვ.;
ხორნაული ვ. – „იქით მზე და აქეთ დედა“, თბ., „საუნჯე“, 2018 წ. – 64 გვ.;
ჰენრი ო. – „უკანასკნელი ფოთოლი და სხვა მოთხრობები“, თბ., „ბაკურ სულაკაურის გამომც.“. 2016 წ. 214გვ.

ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკა

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია